ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31253002**
თარიღი: **27/10/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

რევაზ კვერენჩხილაძის მოსახლეობასთან შეხვედრის

და 2025 წლის პირველი იანვრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული

მუშაობის შესახებ ანგარიში

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

სოფელი, თემი, დაბა: ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეული.(ხორეთი, კოკათი,გულიანი,მოედანი,შრომისუბანი,წიაღობანი და ჯიხანჯირი)

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 15.10.2025 წელი 14:00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრი რევაზ კვერენჩხილაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

ანგარიშის წარდგენამდე საკრებულოს წევრი რევაზ კვერენჩხილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. საკრებულოს წევრმა რევაზ კვერენჩხილაძემ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად წარმოადგინა 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. რევაზ კვერენჩხილაძე 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, არჩეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატად. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში, ასევე არის ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს, კომისიის და ფრაქციის მუშაობაში. როგორც საკრებულოს წევრი აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში.

რევაზ კვერენჩხილაძემ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია 2025 წელს შესრულებული სამუშაოების შესახებ.

დეპუტატმა ცალკე ისაუბრა, ბოლო წლებში ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მომხდარ სტიქიაზე და მათ სალიკვიდაციო სამუშაოებზე. 2023 წლის 8 სექტემბრის და 2025 წლის თებერვლის სტიქიებზე. დეპუტატმა მოსახლეობას განუმარტა, რომ დღესაც მიმდინარეობს მათი აღმოფხვრის სამუშაოები და არც ერთი დაზარალებული არ დარჩება შესაბამისი დახმარების გარეშე.

საკრებულოს წევრმა ისაუბრა სოფლის პროგრამების შესახებ და მოსახლეობას მადლობა გადაუხადა პროგრამების შერჩევის ეტაპზე ჩართულობისა და აქტიურობისთვის.

ბატონმა რევაზმა ასევე ისაუბრა წყლის, გზის, სანიაღვრე არხების, მშენებარე გაბიონების შესახებ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, კერძოდ:

მოედანი - შრომისუბნის გზის რეაბილიტაცია;

ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა;

რეაბილიტაცია ჩაუტარდა სტიქიის შედეგად დაზიანებულ შემდეგ ობიექტებს:

სოფელ მოედანში ელგუჯა ნადირაშვილის ეზოსთან მილხიდს;

სოფელ მოედანში ზაზა სარიშვილის ეზოსთან ხიდს;

სოფელ შრომისუბანში ვახტანგ კვაჭაძის ეზოსთან ხიდს;

სოფელ ჩოჩხათში ენვერი ანდღულაძის ეზოსთან რკინა ბეტონის გზის და მილხიდის;

სოფელ წიაღობანში მჟავიების უბანშიხიდის და რკ. ბეტონის გზის;

სოფელ ხორეთში მაისურაძეებთან ხიდის;

სოფელ ხორეთში ფოცხიშვილთან მილხიდის;

სოფელ ხორეთში ჯუმბერ ზოუიძის ეზოსთან მილხიდის;

სოფელ ხორეთში ჭაბუკა კვერენჩხილაძისეზოსთან მილხიდის და დამცავი კედლის;

სოფელ გულიანში გიორგი კუპრაძესთან რკინა ბეტონის არხის;

სოფელ გულიანში მოისწრაფიშვილთან რკინა ბეტონის გზის და არხის;

სოფელ გულიანში როლანდი გოგუაძის ეზოსთან რკინა ბეტონის არხის;

სოფელ გულიანში იამზე ფაცურიასთან რკინა ბეტონის გზის და არხის;

სოფელ გულიანში ანჟელა ჯიჯიეშვილთან გზის;

სოფელ კოკათში ძიმისტარიშვილების უბანში რკინა ბეტონის გზის და არხის;

სოფელ მოედანში დავითაძეევის აღმართზე რკინა ბეტონის გზის და არხის;

სოფელ მოედანში ტარიელ ტუღუშის ეზოსთან რკინა-ბეტონის არის და ცხაურის;

სოფელ შრომისუბანში ნატო მინდარაძესთან რკინა ბეტონი არხის;

სოფელ შრომისუბანში გელა ტიკარაძესთან რკინა-ბეტონის გზის;

სოფელ შრომისუბანში სტადიონთან რკინა-ბეტონის არის;

სოფელ ჩოჩხათში ირაკლი გორგოძის ეზოსთან გზის და სანიაღვრე არხის;

სოფელ ჩოჩხათში ჯემალ მითაიშვილის ეზოსთან კრინა-ბეტონის გზის და არიხს;

ღვედის უბანში რკინა ბეტონის არხის;

სოფელ წიაღობანში ამირან პაიკიძესთან რკინა-ბეტონის არხის;

რეაბილიტაცია ჩაუტარდა სტიქიის შედეგად დაზიანებულ:

სოფელ გულიანში აივაზ შაინიძის ეზოსთან გაბიონს;

სოფელ გულიანში ბაჩუკი სარიშვილის ეზოსთან გაბიონს;

სოფელ გულიანში ბერიძესთან გაბიონს;

სოფელ გულიანში მამუკა კუპრაძესთან და როლანდ გოგუაძესთან გაბიონს;

სოფელ გულიანში მამუკა კუპრაძესთან რკინა-ბეტონის გზის;

სოფელ ჩოჩხათში ელენე ტუღუშის ეზოსთან გაბიონს;

სოფელ მოედანში ხიდთან გაბიონს;

სოფელ მოედანში თამაზ გუჯაბიძის ეზოსთან გაბიონს;

სოფელ მოედანში დემური მოქიას ეზოსთან მილ-ხიდს;

სოფელ მოედანში ლევან ხუციშვილის ეზოსთან გაბიონს;

სოფელ შრომისუბანში ოლეგ ძიმისტარიშვილის ეზოსთან გაბიონს;

სოფელ ჯიხანჯირში სასაფლაოსთან მილ-ხიდს და გაბიონს;

სოფელ ჯიხანჯირში სანია შაინიძის ეზოსთან გაბიონს;

სოფელ ჯიხანჯირში დავით გიორგაძის ეზოსთან გაბიონს;

სოფელ კოკათში ბადრი სარიშვილის სახლთან გაბიონს;

სოფელ გულიანში ბესო ჯიჯიეშვილთან რკინა-ბეტონის გზას;

სოფელ გულიანში ივერი გოგუაძესთან რკინა-ბეტონის გზას და ცხაურს;

სოფელ გულიანში თორნიკე მარგალიტაძის ეზოსთან რკინა-ბეტონის გზას;

მათითაიშვილების აღმართზე რკინა-ბეტონის გზას;

მითაიშვილების ასასვლელში რკინა-ბეტონის გზას;

სოფელ გულიანში ავთო მურვანიძესთან რკინა-ბეტონის გზის, გაბიონის;

სოფელ კოკათში ცენტრალურ გზაზე რკინა-ბეტონის გზის, გაბიონის, ცხაურის;

სოფელ შრომისუბაბში ბადრი ჯოჯუასთან რკინა ბეტინის გზის;

სოფელ წიაღობანში ხათუნა გუნთაძესთან რკინა-ბეტონის გზის;

სოფელ ხორეთში ახალ ხიდთან მოედნის გადასახვევამდე კრინა-ბეტონის გზის;

სოფელ ჯიხანჯირში ბადრი კოტრიკაძის ეზოსთან რკინა-ბეტონის გზის.

ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში გადაიხურა სტიქიის შედეგად დაზიანეული კერძო საცხოვრებელი სახლები, სახურავის მასალი შესაძენად თანხა გადაეცა საცხოვრებელი სახლიებს მეპატრონეს.

სოფელ ჩოჩხათში მოეწყო ხელოვნურსაფარიანი სტადიონი.

დასრულების ფაზაშია ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირების სამუშაეოები.

აშენდა სოფელ გულიანის საბავშვო ბაღი, რომელიც 50 ბავშვზეა გათვლილი.

ბატონმა რევაზმა ისაუბრა იმ პროექტებზეც, რომელიც სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობს და დაგეგმილია:

სოფელ გულიანში ჯიჯიეშვილების უბანში რკინა-ბეტონის არხის და რკინა-ბეტონის გზის მოწყობა;

სოფელ წიაღობანში რკინა-ბეტონის გზის მოწყობა 170.=30 გრ.მ;

სოფელ ჩოჩხათში რაიონდი ხომერიკის ეზოსთან გაბიონის მოწყობა;

სოფელ შრომისუბანში მდინარე შუთის ნაპირზე მოსაწყობია გზის დამცავი;

სოფელ გულიანში მათიასვილების უბანში მილხიდის შეკეთება;

სოფელ შრომისუბანში #3 ხიდთან მოსას~წყობია ახალი ხიდი;

სოფელ ხორეთში კობა გოგუაძის ეზოსთან მოასაწყობია სახიდე გადასასვლელი;

სოფელ ჯიხანჯირში ვაჟა გურგენაძის ეზოსთან მოსაწყობია სახიდე გადასასვლელი.

ზემოთ აღნიშნული პროექტები მოწონებული იქნა მოსახლეობის მიერ.

საკრებულოს წევრმა რევაზ კვერენჩხილაძემ ჩოჩხათის მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

მიმდინარე წლის თებევრის თვეში მოსული უხვმა ნალექმა თოვლის სახით პრობლემები შეუქმნა მთლიანად თემს. ხელისუფლების მყისიერი რეაქციის შედეგად მოხდა დროულად დახმარება. მოსახლეობას მიეწოდა სხვადასხვა სახის

მოქალაქეების მიერ გამოითქვა გარკვეული მოთხოვნები:

1. სოფელ ჯიხანჯირში გზის რეაბილიტაცია.
2. სოფელ ხორეთის სასაფლაოს დაზიანებული ნაწილის მოწესრიგება.
3. სოფელ გულიანში წყლის საკითხი მოგვარება.
4. სოფელ ჩოჩხათში გზის, სანიაღვრე არხების, გარე განათების მოწესრიგება, ასევე გაბიონების შეკეთება.

ამის შემდეგ, ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრს რევაზ კვერენჩხილაძეს, რათა ის ყოველთვის იზიარებს მათ გულისტკივილს და პრობლემებს. ასევე, ყოველთვის ცდილობს შესაძლებლობიდან გამომდინარე

გვერდით დაუდგეს ადგილობრივ მოსახლეობას.

საკრებულოს წევრმა რევაზ კვერენჩხილაძემ მოუწოდა სოფლის მოსახლეობას, რომ დროულად მიაწოდონ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის შესახებ ინფორმაცია, რათა ერთობლივად და ასევე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით შესაძლებლობიდან გამომდინარე დროულად გადაიჭრას პრობლემა. მისი თქმით, ასევე, ძალიან კარგი იქნება, თუკი მოსახლეობა გამოიჩენს მეტ ჩართულობას. ასევე თავის მხრივ სოფლის მოსახლეობას დაპირდა, რომ ის, როგორც საკრებულოს წევრი, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აქტიურ მუშაობას გაარძელებს, რათა 2026 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

რევაზ კვერენჩხილაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი